ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 5

ქ. ონი 27. 05. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, როსტომ ლობჯანიძე, ეკა მაისურაძე, ნინო გობეჯიშვილი, ბიძინა ყიფიანი, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი ზურაბ ბენდიანიშვილი, ნონა მაისურაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდა: გივი ბენდიანიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანის შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

2.2024 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

3.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანის შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანის შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა აღიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. 2024 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2024 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა აღიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 3.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიმდინარე პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს

როგორც რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტითა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები, რომელთა დიდი უმრავლესობის შესრულების ხარისხი ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია. გარკვეულ პროექტებზე სამუშაოები მიმდინარეობს და არ არის ჩამორჩენა წინასწარ გაწერილ სამუშაო გრაფიკთან მიმართებაში და შესაბამისად, დასრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, თუმცა ზოგიერთ ობიექტზე ჩამორჩენაა გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში. ტექნიკური ზედამხედველების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჩამორჩენას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა, დროულად გატარდეს სათანადო ღონისძიებები. სასურველი შედეგების მისაღებად აუცილებელია, მუდმივ რეჟიმში ხდებოდეს მუშა პროცესების მკაცრი კონტროლი შესაბამისი საზედამხედველო სუბიექტების მიერ.

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა აღიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე